



სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია წარმომადგენლობით
საბჭოზე 07.09.2017, #15

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
დებულება

თავი I: ზოგადი დებულება;

თავი II: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურა;

თავი III: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი;

თავი IV : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

თავი V : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

თავი VI : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციონირების წესი;

თავი VII : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი;

თავი VIII : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შეფასების წესი;

თავი IX: სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობა;

თავი X: შრომითი ხელშეკრულება;

თავი XI: დასკვნითი ნაწილი.

თავი I: ზოგადი დებულება

მუხლი 1. დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში, ინსტიტუტი) არის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში, უნივერსიტეტი) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი

სტრუქტურული ერთეული, რომელიც უნივერსიტეტის დაკვეთით ანხორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის საკუთარი ორგანო.

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არსებობის მიზანია უნივერსიტეტის სამეცნიერო - სასწავლო პოტენციალის ამაღლება, დახვეწა, ხარისხის გაუმჯობესება და ყოველივე ზემოაღნიშნულის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიძლება მუშაობდეს არა მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ, არამედ ზოგადად დარგში არსებულ აქტუალურ თემატიკაზე. აუცილებელია, საკვლევითი თემის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის გაცნობა და საკითხის შეთანხმება.

თავი II: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურა

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

4.1. დირექტორი წარმართავს ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საქმიანობას.

4.2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედის სრული სამეცნიერო პერსონალი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი).

4.3. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კომპლექტდება სამი ტიპის სამეცნიერო პერსონალით (თანამდებობის დაკავების წესი იხ. დანართი №1):

) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

) მეცნიერ-თანამშრომელი.

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგი:

6.1. უნივერსიტეტის პროფილის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, სამეცნიერო პერსონალის საშტატო რაოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

) ხუთი (5) მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, დრამის (საშემსრულებლო) და კინოს (საშემსრულებლო) წარმომადგენელი);

- ქ) ექვსი (6) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, დრამის (საშემსრულებლო) და კინოს (საშემსრულებლო) წარმომადგენელი, მასობრივი კომუნიკაცია - მედიის კვლევა);
- ქ) ათი (10) მეცნიერ-თანამშრომელი (თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, დრამის (საშემსრულებლო) და კინოს (საშემსრულებლო) წარმომადგენელი, მასობრივი კომუნიკაცია - მედიის კვლევა, ლოტბარი, ქორეოლოგია, ხელოვნების მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი)

- 6.2. ინსტიტუტს ასევე ჰყავს ხუთი (5) არასამეცნიერო, არამედ დამხმარე, ტექნიკური თანამშრომელი - ასისტენტი. ისინი შეიძლება იყვნენ, როგორც ზემოაღნიშნული ათი (10) მიმართულების წარმომადგენელი, ისე სხვა სპეციალობის (ჰუმანიტარული მიმართულებები, ფილოლოგი, უცხო ენის სპეციალისტი და ა.შ.) მქონე ადამიანები, რომელთა საქმიანობა მიმართული იქნება ინსტიტუტის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენისაკენ.
- 6.3. მომავალში, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა მოხდეს არსებული საშტატო განრიგის შეცვლა (სამივე ტიპის მეცნიერ-თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის მიმართულებით).

თავი III: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი

მუხლი 7. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი:

- 7.1. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საკონკურსო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- 7.2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის არანაკლებ 6 წლიანი სტაჟი, ან პედაგოგიური მოღვაწეობის (აკრედიტაცია გავლილ უმაღლეს სასწავლებელში) 9 წლიანი სტაჟი; ან საერთო ჯამში (სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობის) 10 წლიანი სტაჟი; 2 უკვე გამოცემული პროფილური წიგნი.
- 7.3. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის ზღვრული ასაკი 71 წელია.

- 7.4. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, გადის სავალდებულო ატესტაციას (ატესტაციის ჩატარების წესი იხ. დანართი №2). საატესტაციოდ, სათანადო საბუთების შეტანის ზღვრული ასაკი 71 წელია.
- 7.5. 71 წლის შესრულებისას, პირი რჩება ამ თანამდებობაზე ატესტაციით განსაზღვრული 5 წლიანი ვადის ამოწურვამდე. შემდეგ, იგი აღარ მონაწილეობს ატესტაციაში და ტოვებს სამეცნიერო თანამდებობას. განთავისუფლებულ ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობაზე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს.
- 7.6. ატესტაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი კიდევ 5 წლით (მორიგი ატესტაციის გავლამდე) იკავებს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობას.
- 7.7. ატესტაციაში წარუმატებლობის შემთხვევაში, პირი ტოვებს დაკავებულ სამეცნიერო თანამდებობას. ამ ვაკანტურ თანამდებობაზე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს.
- 7.8. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, უტოლდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ყოველთვიურ ანაზღაურებას.
- 7.9. დაუშვებელია მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის შეთავსება აკადემიურ თანამდებობასთან.

მუხლი 8. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:

- 8.1. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საკონკურსო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- 7.3. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის არანაკლებ 3 წლიანი სტაჟი; ან პედაგოგიური მოღვაწეობის (აკრედიტაცია გავლილ უმაღლეს სასწავლებელში) 6 წლიანი სტაჟი; ან საერთო ჯამში (სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობის) 5 წლიანი სტაჟი; 1 უკვე გამოცემული პროფილური წიგნი.

- 8.2. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
- 8.3. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში საბუთების შეტანის ზღვრული ასაკი 71 წელია.
- 8.4. ზღვრული ასაკის (71 წელი) მიღწევას, პირი სამეცნიერო თანამდებობაზე რჩება კონკურსით განსაზღვრული 4 წლიანი ვადის ამოწურვამდე.
- 8.5. უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, უტოლდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ყოველთვიურ ანაზღაურებას.
- 8.6. დაუშვებელია უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის შეთავსება აკადემიურ თანამდებობასთან.

მუხლი 9. მეცნიერ-თანამშრომელი:

- 9.1. მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საკონკურსო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო, მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
- 9.2. კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი სამეცნიერო თანამდებობას იკავებს 3 წლის ვადით.
- 9.3. მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დოქტორს ან დოქტორანტს (რომელსაც შეჩერებული არა აქვს სტუდენტის სტატუსი). მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში საბუთების შეტანის ზღვრული ასაკი 66 წელია.
- 9.4. ზღვრული ასაკის (66 წელი) მიღწევას, პირი სამეცნიერო თანამდებობაზე რჩება კონკურსით განსაზღვრული 3 წლიანი ვადის ამოწურვამდე.
- 9.5. დოქტორანტმა, მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო პროფილური მიმართულების 1 პროფესორის ან 2 ასოცირებული პროფესორის

წერილობითი შუამდგომლობა-რეკომენდაცია. ერთიდაიმავე პირმა მსგავსი შუამდგომლობა-რეკომენდაცია შეუძლია გაუწიოს მხოლოდ 1 ადამიანს.

- 9.6. მეცნიერ-თანამშრომლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, უტოლდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის ყოველთვიურ ანაზღაურებას.
- 9.7. კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაკოვებლად, პირს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის 1 წლიანი ან პედაგოგიური მოღვაწეობის (აკრედიტაცია გავლილ უმაღლეს სასწავლებელში) 3 წლიანი სტაჟი. ეს მოთხოვნა არ ეხება, დოქტორანტს.
- 9.8. დაუშვებელია მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის შეთავსება აკადემიურ თანამდებობასთან.

მუხლი 10. ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტმა შეიძლება მოიწვიოს შესაბამისი პროფილის, მიმართულების, დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

- 10.1. ამ პირთან, ინსტიტუტის დირექტორი აფორმებს ვადიან ხელშეკრულებას (მინიმუმ 1 თვით და მაქსიმუმ 2 წლით), რომელშიც მკაფიოდ აისახება თუ რა ვადაში, რა სამუშაოს შეასრულებს პირი და რას შეადგენს მისი შრომის ანაზღაურება.
- 10.2. ინსტიტუტში, სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ხარისხი. ეს ეხება უკლებლივ ყველას (თეორიულ თუ საშემსრულებლო მიმართულებებს).

თავი IV : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

მუხლი 11. ინსტიტუტის უმაღლესი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი (და არა დამხმარე ან მოწვეული) ყველა პირი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი).

მუხლი 12. საბჭოს წევრები, თავიანთი რიგებიდან, ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით, ირჩევენ თავმჯდომარეს (4 წლის ვადით). ერთი და იგივე პირი, ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება არჩეულ იქნეს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ.

12.1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა, არაანაზღაურებადი საპატიო, წარმომადგენლობითი სამეცნიერო თანამდებობაა.

მუხლი 13. სამეცნიერო საბჭო:

-)/ განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს;
-)/ ანაწილებს ფუნქციებსა და დატვირთვებს, განსაზღვრავს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს შორის;
-)/ უნივერსიტეტის აკადემიურ და უნივერსიტეტში არსებულ ყველა ფაკულტეტის საბჭოებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს სამოქმედო-სამუშაო გეგმას, ე.წ. მოკლე და გრძელვადიან პროექტებს;
-)/ განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს, აქტუალურ საკითხებს, საკვლევ თემებს;
-)/ განსაზღვრავს შესაქმნელ სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურას (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, თარგმანი და ა.შ.);
-)/ განსაზღვრავს სხვა ტიპის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას (სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, სტუდენტთა სამეცნიერო მოხსენებები, სწავლების სამივე საფეხურის საკვალიფიკაციო ნაშრომები, სწავლების სამივე საფეხურის სასწავლო - საგანმანათლებლო პროგრამების განახლება ან არსებულის დახვეწა, სრულიად ახლის შექმნა და ა.შ.), რომელზეც 4 წლის (თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა) განმავლობაში უნდა იმუშაოს ინსტიტუტმა.

მუხლი 14. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აქტიურად მონაწილეობს ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება-დანერგვაში. ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, ჩართულია კვლევითი კომპონენტის მონიტორინგის პროცესში.

მუხლი 15. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომათა მოწვევის საკითხს და მათ ინტენსივობას განსაზღვრავს თავმჯდომარე.

- 15.1. იგი წარმართავს საბჭოს სხდომას. სხდომა ტარდება მხოლოდ ქვორუმის არსებობის შემთხვევაში (წევრთა მთლიანი რაოდენობის ნახევარზე მეტი ანუ 50%-ს +1). ამ დებულების მიხედვით, სამეცნიერო პერსონალის 21 წევრიდან, სხდომას უნდა ესწრებოდეს მინიმუმ 11 წევრი. ამა თუ იმ საკითხზე, ან არჩევნების დროს, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.
- 15.2. სხდომის ჩატარება აისახება ოქმში, რომელსაც აწარმოებს საბჭოს მდივანი (მეცნიერ-თანამშრომელი).
- 15.3. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, მეცნიერ-თანამშრომელს, სხდომის მდივანად სპეციალურად ნიშნავს თავმჯდომარე; ყოველ სხდომას შეიძლება ჰყავდეს ახალი მდივანი.
- 15.4. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი; ოქმები ინახება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესთან; ასლი გადაეცემა ინსტიტუტის დირექტორს.

თავი V : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

მუხლი 16. ინსტიტუტის დირექტორი არის ადმინისტრაციული, ანაზღაურებადი თანამდებობა. მისი შრომის ყოველთვიური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანის ანაზღაურებას და არ უნდა შეადგენდეს უნივერსიტეტის სამსახურის უფროსის ხელფასზე ნაკლებს. იგი ანხორციელებს ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საქმიანობას.

- 16.1. დირექტორს, 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს და ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
- 16.2. ინსტიტუტის დირექტორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც უკავია მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა და დანიშვნის მომენტში არ შესრულებია 65 წელი. თუ ის დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნისას მიაღწევს ზღვრულ ასაკს (65 წელი), იგი რჩება აღნიშნულ თანამდებობაზე უფლებამოსილების 5 წლიანი ვადის ამოწურვამდე. თუ პირს არ უკავია მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორად არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. თუ პირს უკავია აკადემიური

თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორად არჩევის შემთხვევაში მას უფლება აქვს შეათავსოს აკადემიური და ადმინისტრაციული მოვალეობები.

16.3. ერთი და იგივე პირი ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება იკავებდეს ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ თანამდებობას.

16.4. დაუშვებელია ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობების შეთავსება.

მუხლი 17. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის წარმართვის პროცედურა:

17.1. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს და საკონკურსო კომისიას ქმნის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

17.2. საკონკურსო კომისია შედგება ხუთი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ორი წევრი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი პირი; ხოლო მეხუთე, მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი (კომისიის თავმჯდომარე).

17.3. კონკურსისათვის, დირექტორობის კანდიდატი (მთავარი-მეცნიერ თანამშრომელი) უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიას. ამ სტრატეგიას განიხილავს საკონკურსო კომისია.

17.4. კონკურსის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

17.5. კონკურსის შედეგები (შესაბამისი მოხსენებითი ბარათი და თანდართული შედეგების ამსახველი ოქმის ასლი) ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

17.6. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული პირი, 5 წლის ვადით იკავებს ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ თანამდებობას.

17.7. აკადემიური საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორი უფლებამოსილია ბრძანებით, 6 თვის ვადით, დანიშნოს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

- 17.8. ზემოაღნიშნული ვადის ამოწურვამდე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, კვლავ აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე.
- 17.9. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნების, რეორგანიზაციის ან დაკომპლექტების პროცესში (ვიდრე, კონკურსის წესით, დაკავებული არ არის საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა სამეცნიერო თანამდებობა), რექტორი უფლებამოსილია ბრძანებით, ექვსი თვის ვადით დანიშნოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. თუ ზემოაღნიშნულ ვადაში არ მოწესრიგდა საორგანიზაციო საკითხები, მაშინ რექტორს სამი თვით კიდევ შეუძლია თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაუხანგრძლივოს მოვალეობის შემსრულებელს. ამის შემდეგ კი უქველად უნდა ჩატარდეს არჩევნები.

თავი VI : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფუნქციონირების წესი

მუხლი 18. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამხმარე პერსონალის, ასისტენტთა კანდიდატურებს შეარჩევს დირექტორი და განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დირექტორი მოხსენებითი ბარათით მიმართავს რექტორს.

18.1. რექტორი, ბრძანების მეშვეობით, 2 წლის ვადით ნიშნავს ინსტიტუტის ასისტენტს.

18.2. ასისტენტი შეიძლება იყოს, ამა თუ იმ სფეროს დოქტორი, დოქტორანტი ან მაგისტრი.

მუხლი 19. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში წარმოდგენილია ერთი წევრით.

მუხლი 20. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს (უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით), გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში (სწავლების სამივე საფეხურზე).

მუხლი 21. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულება და სხვა ნორმატიული აქტები:

21.1. სრულად დაკომპლექტების შემდეგ, 6 თვის ვადაში, ინსტიტუტი „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, აგრეთვე წინამდებარე, გარდამავალი (დაფუძნების დებულება) დოკუმენტისა და მას თან დართული №1 და №2 დანართების მიხედვით, შეიმუშავებს საკუთარ, საბოლოო დებულებას, რომელსაც განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

21.2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადებითი მოსაზრების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორი თავისი სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს დებულებას; ამის შემდეგ, ინსტიტუტი მოქმედებს ზემოაღნიშნული დებულების ფარგლებში.

21.3. ინსტიტუტის ავტონომიურობის საზღვრები, მისი მართვისა და საქმიანობის წესი, განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობითა და საბოლოოდ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 22. როგორც ინსტიტუტს, ისე მის ცალკეულ თანამშრომლებს, კომპეტენციის ფარგლებში (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით), უფლება აქვს (აქვთ) განახორციელოს (განახორციელონ) საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაწეული სამუშაოსთვის (დამკვეთ დაწესებულებასთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე) მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება.

მუხლი 23. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტიტუტს შეუძლია:

- 1) ორგანიზება გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციას (როგორც ადგილობრივს, ისე საერთაშორისოს); ასევე, სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარებას (უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით);
- 2) ითანამშრომლოს, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან (უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით);
- 3) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში (ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დებულებით დადგენილი წესით);
- 4) მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-მომზადება-განხორციელებაში;
- 5) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტთა მიერ საბაკალავრო, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების, ასევე დოქტორანტთა მიერ დისერტაციათა შესრულებაში;
- 6) სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო გრანტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;
- 7) დამოუკიდებლად მოიძიოს მიზნობრივი დაფინანსება, გრანტი, სტიპენდია, გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე სხვა კერძო, ალტერნატიული წყაროდან;
- 8) საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი დებულების საფუძველზე განახორციელოს სხვა პროფილური საქმიანობა.

მუხლი 24. უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტრუქტურასა და მართვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მისი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით.

თავი VII : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი

მუხლი 25. ინსტიტუტი, უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

25.1. აკადემიური საბჭო განიხილავს და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს.

25.2. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ინსტიტუტის ბიუჯეტს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 26. წარმომადგენლობითი საბჭოს უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორი ხელახლა შეიმუშავებს ინსტიტუტის ბიუჯეტს და კვლავ წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

26.1. თუ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ, ზედიზედ სამჯერ დაიწუნა ბიუჯეტის პროექტი, ინსტიტუტის დირექტორი ავტომატურად ტოვებს დაკავებულ თანამდებობას.

მუხლი 27. ინსტიტუტის დროებით ბიუჯეტს (არაუმეტეს 6 თვის ვადისა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი VIII : სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შეფასების წესი

მუხლი 28. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის საქმიანობის შიდა შეფასების წესს.

28.1. აკადემიური საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორი ბრძანებით ამტკიცებს ზემოაღნიშნულ წესს. ეს წესი უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს.

თავი IX : სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობა

მუხლი 29. სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი პირის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ინსტიტუტის დებულებითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 30. მეცნიერს უფლება აქვს:

- 1) გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას);
- 2) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის მეთოდები და საშუალებები;
- 3) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებაში;
- 4) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის (გრანტების) დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;
- 5) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 31. მეცნიერი ვალდებულია:

- 1) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- 2) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
- 3) ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 32. უნივერსიტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფს სამეცნიერო პერსონალის კვლევის თავისუფლებას.

თავი X : შრომითი ხელშეკრულება

მუხლი 33. სამეცნიერო პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 34. სამეცნიერო პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

1. პირადი განცხადება;

2. შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;
3. დისციპლინური ნორმების სისტემატიური ან უხეში დარღვევა;
4. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
5. შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ ან ვერ შესრულება;
6. შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უხარისხოდ შესრულება;
7. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 35. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაუშვებელია აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების შეთავსება.

თავი XI: დასკვნითი ნაწილი

მუხლი 36. ინსტიტუტის სრულად დაკომპლექტებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადისა, შემუშავებულ და სათანადო წესით დამტკიცებულ უნდა იქნეს ინსტიტუტის საბოლოო დებულება, რომელიც განსაზღვრავს მის სტრუქტურას, მიზნებს, ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 37. დებულების შესაქმნელად დირექტორმა უნდა შეადგინოს შესაბამისი კომისია, რომელიც დაკომპლექტდება ინსტიტუტის თანამშრომლებისაგან. კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირებიც.